საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

# ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლიდან

რაიონის საზოგადოებრივ—პოლიტიკური გაზეთი

№41 (6587) 21 ოქტომბერი ხუთშაბათი 1998 წელი

## დევნილნი საკუთარ სამშობლოში

ბოლო დროს დასავლეთ საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა, ძმათა შორის ბრძოლამ ავტომატებით, ტექნიკით, არტილერიით, ბომბებით, ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა, რომ მართლაც ისე შეგვიჩნდა ეშმა და სატანა, რომ ველარაფერს ვხედავთ, აპოკალიფსის სერიოზული საფრთხე გვემუქრება, მართლაც გაუჩინარების ზღვარზე დგას საქართველო.

ამ დროს, როცა ყველანაირი უბედურება გვჭირს, ხშირად საკუთარი სიცოცხ—

ხელმძღვანელები.

სხდომა გახსნა რაიონული საკრებულოს გამგეობის თავმჯდომარემ ა. პირველმა. ინფორმაციით გამოვიდა რაიონული საკრებულოს შრომისა და სოციალური დაცვის განყოფილების გამგე ბ. ბრეგვაძე.

სხდომაზე გამოვიდნენ საწარმო—ორგანიზაციათა, ადმინისტრაციულ ორგანოთა ხელმძღვანელები და წარმომადგენლები.

აღინიშნა, რომ რაიონში ჯერჯერობით 2147 ლტოლვილია, რომელთა რიცხვი

ისე, ახლა ცოტა რამ გვეშოვება. ყველა ორგანიზაციამ უნდა გაიღოს ლტოლვილთათვის თავისი წილი. სხდომის მონაწილეებმა მოუწოდეს რაიონის ყველა ორგანიზაციას, მოქალაქეებს, კიდევ ერთხელ გამოიჩინონ თანადგომა შეჭირვებული ადამიანების გადასარჩენად.

უნდა დაფიქსირდეს ლეჩხუმში დასახლების მსურველი ლტოლვილთა კონტინგენტი და ადგილობრივ საკრებულოთა ხელმძღვანელების ჩარევით გამოინახოს მათი ბებმური ჩასახლების ადგილები. გაჭირვება იგრძნობა ლტოლვილთა საწოლებით, სხვა ინვენტარით, ჭურჭლით, ყოფითი საგნე—

## ეს არაა უბრალო პრობლემა

ლის რაობაზეც შეიძლება იფიქროს კაცმა. მაგრამ ქართველ კაცს განსაცდელის, ბოლო ჟამს ყოველთვის მოუკრებია გონი და სიბრძნე, ძალი, ენერგია და გადაურჩენია ქვეყანა, ასეთია საქართველოს ისტორია, ასეთია ქართველი კაცის ბუნება.

დღეს მართლაც ბევრი საკუთარ პერანგს იხდის და იმ მოძმეს აცმევს, რომელსაც ყველაზე ძვირფასი მოუკლეს, ნაოფლარი ფუძე აუყარეს, სახლ—კარი აუწიოკეს და საკუთარი კერიდან გამოდევნეს. ლტოლვილი ჰქვია ასეთს, ლტოლვილი საკუთარ სამშობლოში. რას ვიზამთ, ასეთია ბედის დაცინვა, განგების ნება.

ახლა ყველა ნორმალური ადამიანი ამ გაუბედურებული ხალხის გვერდითაა. ჩვენი უხმაურო, პატარა კუთხეც აჭრელდა, მიდიხარ ქუჩაში და იმდენი უცხო თვალი გხვდება ძირს დახრილი, სიცოცხლეჩამქრალი, უსასოო, ჩვენ შემოგვცქერის ეს თვალები, ჩვენ გვიხმობს გადასარჩენად და ლეჩხუმიც მზადაა მისი მწირი ეკონომიკისა და შეძლების ფონზე ხელი გაუწოდოს ყოველ მათგანს.

ჩატარდა რაიონული საკრებულოს გამგეობასთან არსებული ლტოლვილთა დახმარების რაიონული შტაბის გაფართოებული სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ საწარმო—ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, აქტივი, ადმინისტრაციულ ორგანოთა

ყოველდღიურად იზრდება. აქედან 150 ქალაქის სასტუმროშია, დანარჩენები საბავშვო ბაღებში, სხვა საზოგადოებრივ შენობებში, მოსახლეობაში. მიუხედავად იმისა, რომ ლტოლვილთ გარკვეული დახმარება ეწევათ (500 გრამი პური დღეში, მოსახლეობისაგან შემოსული პროდუქტები თუ ტანსაცმელი), ეს სრულებით არაა საკმარისი. ამ დროს სახელმწიფოსაგან არანაირი დახმარების იმედი არ არის. ქაოსია ლტოლვილთა მიღების, განაწილება—დაბინავების საქმეში. ეს პროცესი კი რაიონულ შტაბთან ერთად უნდა მართონ საწარმო—ორგანიზაციათა ხელმძღვანელებმა, ადგილობრივმა საკრებულოებმა.

განსაკუთრებით გაესვა ხაზი ლტოლვილი ბავშვების სკოლაში მოწყობის საკითხს. განათლების განყოფილებამ, სკოლების დირექციებმა სასწრაფოდ უნდა დაადგინონ მოსწავლე ლტოლვილთა კონტინგენტი ტერიტორიული ნიშნით და ყველაფერი იღონონ მათი სწავლების უზრუნველყოფისათვის.

რამდენიმე სკოლამ და ორგანიზაციამ კარგი ინიციატივა გამოიჩინა—შეგროვილ ტანსაცმელსა თუ სურსათ—სანოვაგეს უშუალოდ გადასცემენ ლტოლვილებს. მაგრამ ერთეულთა გულმოწყალება საქმეს ვერ შველის. შემოდგომაა, ასე თუ

ბით უზრუნველყოფაში. ჩვენი რაიონის სინამდვილეში ბევრია პარალიზებული ობიექტი, საიდანაც შეიძლება დავეხმაროთ მათ.

სხდომაზე შეიქმნა ლტოლვილთა სურსათით, კვებით, ფულადი თანხებით უზრუნველყოფის, მათი ჩასახლების ორგანიზაციისა და ადგილებზე დახმარების სპეციალური ჯგუფები, განისაზღვრა მათი ამოცანები.

სხდომის მონაწილეებმა დაგმეს ქალაქის ბენზინის გასამართ სადგურთან მომხდარი ძალზე არასასიამოვნო ინციდენტი, შეიარაღებულმა ჯგუფმა სვანეთისაკენ მიმავალი ჰუმანიტარული პურის ფქვილით დატვირთული ავტომანქანები იქვე, ჩხუტელის ყოფილი კოლმეურნეობის კანტორის ეზოში მიიყვანა იძულებით და 20 ტონა ფქვილი დაიტაცეს, მოითხოვეს ამ ფაქტის ძირფესვიანი შესწავლა და სათანადო ზომების მიღება მოწოდებული ორგანიზაციებისაგან, მსგავსი ფაქტების აღკვეთა.

სნგ: კი, თუ არა?

## ასე ფიქრობს ხალხი

**საქართველოს შესვლას დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში არაერთგვაროვანი რეზონანსი მოჰყვა.**

**რ. ბ.** დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში საქართველოს შესვლა აუცილებლად მიმაჩნია, რისთვისაც მხარს ვუჭერ ჩვენი სახელმწიფოს მეთაურის ბატონ ედუარდ შევარდნაძის გონიერ და ერთადერთ გადაწყვეტილებას ამის შესახებ. ჩემში გაკვირვებას იწვევს ზოგიერთი პოლიტიკოსის არაპოლიტიკური მიდგომა საკითხისადმი, რომ საქართველო დაიღუპება სნგ—ში გაერთიანებით. საკვირველია, რა გვაქვს დასაღუპავი ან დასაკარგავი ამ კავშირში, დაღუპულები ახლა ვართ და თუ ეს უკანასკნელი შესაძლებლობაც გავუშვით, გადარჩენაზე ლაპარაკიც არ შეიძლება.

—ცხელი წერტილების სამართლებრივი მოგვარება;

—აფხაზეთის ტერიტორიის დაბრუნება;

—ეკონომიკაში კრიზისის დაძლევა. და ვინ იცის რამდენი საჭირბოროტო საკითხის გონიერი გადაჭრაა შესაძლებელი ამ კავშირის წევრ სახელმწიფოებთან თანამეგობრობით, მით უმეტეს ახლა, როცა მსოფლიოში ცნობილი პოლიტიკოსი უდგას სათავეში ჩვენს ქვეყანას, მგონი, დავაგვიანეთ და რომ დავაგვიანეთ დავისაჯეთ კიდეც. სამწუხაროდ, ზოგიერთ ვაიპოლიტიკოსს ამ დიდად ცნობილი პოლიტიკოსის მოსაზრებას რომ ეწინააღმდეგება, ეს მიაჩნია პოლიტიკად. აი, რა გვღუპავს ჩვენ.

**ა. ს.** ნაცნობ ჰანგზე აწყობილი სიმღერაა „თავისუფალ ერთა მძლე კავშირი ძმური" (უკაცრავად, „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა") შეუკრავს სრულიად დიდ რუსეთის ხალხს".

დასავლეთმა მთელი ეს ანტისაბჭოთა კამპანია, როგორც შემდეგ განვითარებული მოვლენებიდან ჩანს, იმიტომაც წამოიწყო რომ სსრკ ის ტერიტორიაზე თავისუფალი საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობანი ჩამოყალიბებულიყო და იგი ყოველნაირად შეუწყობს ხელს, რომ ეს ურთიერთობანი შეუქცევადი გახდეს. ამიტომ ტყუილად იმედოვნებენ სოციალისტურ ეკონომიკაზე ნოსტალგირებული ადამიანები, რომ სნგ—ში შესვლის შემთხვევაში ისევ გაჩნდება 4 მანეთიანი კარაქი, მანეთიანი შაქარი და ა. შ. საქართველო სნგ—ში შესვლით დაკარგავს პოლიტიკურად ბევრს და მიიღებს ეკონომიკურად ძალიან ცოტას ან თითქმის არაფერს.

ჩემი აზრით ერთადერთი დადებითი ამ ხელშეკრულებაში (ისიც არსებული ხელისუფლებისათვის) შეიძლება იყოს ის, რომ რუსის ჯარის დახმარებით შეძლებს ოპოზიციის განადგურებას და ხელისუფლების შენარჩუნებას.

დასასრული მე—2 გვ.

## არაფერი დავიწყნიათ

ქალაქის სასტუმროს ეზოში აქ მცხოვრები ლტოლვილები შეჯგუფულან. მანქანის ძარაზე ლასურიაშის საშუალო სკოლის პედაგოგები ამირან ახვლედიანი და ნიკო მუშკუდიანი, მოსწავლეები ირმა ჭაბ[illegible]იანი, ლაშა ბრეგვაძე, ნატო ხეცურიანი ტრიალებენ. ისინი ლტოლვილებს თავაზობენ ტანსაცმელს, ხილს, ბოსტნეულს, თონეულს, კონსერვებს, ფელამუში და ჭყინტი სიმინდიც კი არ დავიწყნიათ.

მართლაც რა კარგად მოუფიქრია ლასურიაშის საშუალო სკოლის კოლექტივს. მათ მთელი მანქანა დაუტვირთავთ ლტოლვილთათვის და უშუალოდ გადასცეს. აქვე არიან ლასურიაშის საშუალო სკოლის დირექტორი ნანი ქარსელაძე, პედაგოგები, განათლების განყოფილების მუშაკები, ლასურიაშის საკრებულოს გამგებელი როსტომ ბრეგვაძე.

მადლიერება, ღიმილი, ცრემლი. იდგნენ ფუძემოშლილი ლტოლვილები და საოცარი მოკრძალებით იღებდნენ მათთვის განკუთვნილ საჩუქარს.

* * *

როგორც ლტოლვილთა დახმარების რაიონულ შტაბში გვითხრეს, ჩხუტელის საშუალო სკოლის კოლექტივსაც გამოუჩენია ასეთივე ინიციატივა.

* * *

სკოლების თანადგომა მისაბაძია. ძნელია საკუთარი გასაჭირის ჟამს სხვის დახმარებაზე ფიქრი, მაგრამ ისევ და ისევ უნდა გავუჭირვოთ თავს, ვუშველოთ მოძმეს უსახლკაროდ, ულუკმაპუროდ, უიმედოდ დავარდნილს.

## ცაგერის რაიონის პროკურატურის მიმართვა ლტოლვილებისადმი

საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურაში აღძრულია სისხლის სამართლის საქმე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე აფხაზი ექსტრემისტებისა და მათ მიერ დაქირავებული შეიარაღებული ბანდების მხრიდან ქართველი მოსახლეობის გენოციდის ფაქტზე. ანალოგიურად ჩვენთანაც შექმნილია საგამოძიებო ჯგუფი რაიონის პროკურორის ა. მაღრაძის, პროკურატურის გამომძიებლის მ. სილაგაძის, პოლიციის გამომძიებლების ლ. ბერიძისა და ა. ხაბულიანის შემადგენლობით.

აღნიშნულთან დაკავშირებით თხოვნით მივმართავთ ცაგერის რაიონის ტერიტორიაზე მყოფ ყველა ლტოლვილს უახლოეს პერიოდში, მათთვის ხელსაყრელ დროს მობრძანდნენ პროკურატურაში ან მიმართონ პოლიციის გამომძიებლებს შესაბამისი ჩვენების მისაცემად.

**ა. მაღრაძე,**
**ცაგერის რაიონის პროკურორი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ასე ფიქრობს ხალხი

(დასასრული)

**ნ. თ.**—თუ კი სნგ—ში შესვლა გვიხსნიდა, აგვაცილებდა აფხაზეთის ტრაგედიას, მაშინ დავიგვიანეთ კი არა, ძალიან დავიგვიანეთ. დღეს, როცა სიცოცხლე ასე გაუფასურებულია და ძალას კარგავს კეთილშობილება, სულმოუთქმელად ვნატრობთ წესრიგს.

**გ. გ.**—სნგ—ში შესვლა რითაა ცუდი? თუნდაც სახელწოდებას დააკვირდით—დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა.

**ჟ. ო.**—ამდენ გაუბედურებულ ოჯახს, დაღუპულ ახალგაზრდას რომ ვუყურებ, მომავლისაც მეშინია და ვფიქრობ, კარგა ხანი დაგვჭირდება აფხაზეთის დასაბრუნებლად, აფხაზეთი კი აუცილებლად უნდა დავიბრუნოთ. თუ სნგ—ში შესვლა ამას გადაწყვეტს, შევიდეთ.

**მ. თ.**—რა ვიცი, ღმერთმაც ქნას გვიშველოს სნგ—მ, ველოდები, რა იქნება ხვალ.

**ნ. თ.**—შენიანი რომ სამტრედიასა და ხონში ბომბებს დაგიშენს სხვისგან რა უნდა გაგიკვირდეს. ერთმანეთის დანდობა რომ არ შეგვიძლია, მოგვერევა გადამთიელი, აბა, რა იქნება, ვერავინ ვერ გვიშველის, თუ ჩვენ, ქართველები არ დავუდექით საკუთარ თავს მშველელად და პატრონად.

**ლ. ც.**—საქართველოში სამოქალაქო ომია. უნდა ვეცადოთ, ამ სამარცხვინო ომის შეწყვეტას, შევიგნოთ, რომ სახელმწიფოს ყოფნა არყოფნის საკითხი დგას. თუ რა ძალამ მიგვიყვანა ამ კრიზისამდე, მომავალი სამართლიანად განსჯის, ჯერ გადავრჩეთ.

* * *

**ხშირად, ძალიან ხშირად, როცა სნგ—ში საქართველოს შესვლის მიზანშეწონილობაზეა ლაპარაკი ამ გადაწყვეტილების მომხრეები ამბობენ: თუ აფხაზეთის პრობლემა მოგვარდება, თუ პური და კარაქი შემოვა, თუ წესრიგი იქნება, თუ ეკონომიკა ამუშავდება... რა უჭირს, შევიდეთ. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ასრულდება კი ის „თუ"? ყურადღებით დააკვირდით იმ პოლიტიკოსთა გამოსვლებს, რომლებიც ერთმნიშვნელოვნად უჭერენ მხარს სნგ—ს. ისინი სნგ—ს სახავენ პანაცეად, უშრეტ წყაროდ, საიდანაც საქართველოში დაიწყებს დინებას პური და საწვავი, კარაქი და ზეთი, მანქანები და ქსოვილები, მაგრამ კონკრეტულ კითხვებზე სულ სხვა პასუხის გაცემა უწევთ.**

**საამისოდ დეპუტატ ღარიბაშვილის მაგალითიც კმარა, სატელევიზიო გამოსვლაში მან სნგ ფრიად პოპულისტური ხერხებით შეამკო, ხოლო პრეს—კონფერენციაზე იძულებული გახდა ეღიარებინა, რომ სნგ—ში შესვლით ბევრი საფრთხეც გაჩნდება, თვით ქართული ენის დაცვის პრობლემაც კი. ამიტომ კიდევ ერთხელ უნდა დავფიქრდეთ, სანამ ქვეყნის ბედს სათუოდ გავხდით.**

# შთამომავლობამ არ შეგვაჩვენოს

არავითარი პრეტენზია არა მაქვს ადამიანის წარმოშობის ახსნაზე, მაგრამ ყველა რომ ღვთიური წარმოშობის არაა, ეს ნამდვილია. ვერც სამშობლოს თემას შევმატებ რამე მნიშვნელოვანს, მაგრამ თუ ამ შეჭირვების ჟამს ადამიანში სამშობლოს ხატი არ ჩაჯდა, ამაოებაა ყველაფერი. უდავოა, რომ ქვეყნის აპოკალიფსი სულის დაცემით იწყება, როდესაც სატანით დამძიმებული სული ღვთის ცნებას წყდება, და ხლიპ უკუნეთში ინთქმება. სწორედ მაშინ იმყოფება ძეცდომილი სატანური შიშის კოშმარში და დაპატარავებული სულის გადასარჩენად გულზე ჯვარს იკიდებს, მაგრამ იგივე გადაგვარებული და გაბოროტებული სული აიძულებს ჯიბეში შხამი და იარაღი ჩაიდოს. სწორედ ასეთი ადამიანია ცოდვაც და ცოდვილიც, გაუცხოებული და გაცხოველებული, საშინელებათა ჩამდენი და ყველაფრის გამნადგურებელი.

მსგავსი რამ იმდენი აიქაფა ცხოვრებაში, რომ მას ჩემი სიტყვის მიმატება აღარ სჭირდება. თუმცა ეს ის ქაფია, დიდმა საზოგადოებრივმა დუღილმა რომ წარმოშვა და დროულად გადაშორება სჭირდება, ვიდრე საღ მასასაც არ გააუვარგისებს. ასეთია ცხოვრებისეული ლოგიკა.

დღეს ისაა კარგი ქართველი, ვინც მოვლენების ზედაპირზე კი არ ტივტივებს, არამედ მის სიღრმისეულ ძალებს უყურებს, ვინც მანიაკური ეიფორიით კი არ არის გაბრუებული, არამედ დინჯად და დარბაისლურად სჯის, ვისაც დიდი მოთმინებისა და ლოდინის უნარი გააჩნია, ვინც საკუთარ ფეხებზე დგას და დამოუკიდებლად აზროვნებს, ქმნის და არ ანგრევს, ალალს სჯერდება და არამს განაგდებს, აღნიშნულის და სხვა მრავალი დადებითის მატარებელს უდგას მშობელ მიწაში ნედლი ფესვები. აი ასეთებს ძალუძთ გადაარჩინონ საქართველო.

ადამიანად ითვლება ის, ვინც მწარმოებლურ შრომას ეწევა და ქმნის ცხოვრების საშუალებებს, თორემ „კარგად ვიმუშავეო" ნებისმიერი ბოროტმოქმედიც ამბობს მიზნის მიღწევის დროს.

ჭეშმარიტებაა, რომ ადამიანი ბუნების უზენაესი გვირგვინია, მაგრამ ეს ნამდვილ ადამიანზე ითქმის და არა მხეცური ინსტიქტებით დაავადებულზე, რომელიც მხოლოდ საკუთარი სულის სიმყრალიდან ამოდის. თუ მრავალთაგან ამ მცირე ასპექტებსაც მივაქცევთ ყურადღებას, რა ხდება საქართველოში? შეიძლება ითქვას, რომ საქართველო ღრმა ძილიდან უეცრად გამოღვიძებულს ჰგავს, სიბნელეში ხელების ცეცებით რომ იკვლევს გზას და ვერც დალაგებულად აზროვნებს. კი, ბოლოს მოეგება გონს, მაგრამ უბედურება ისაა, რომ მანამდე ბევრი აუნაზღაურებელი იკარგება არა მარტო მიწაწყლის სახით, არამედ ადამიანები, ამ მიწა—წყლის სამკაულები, ქართული გენის და ჯიშის საუკეთესო ნაწილი. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ჩვენში არასდროს არ ყოფილა [illegible] ადან—[illegible] დონ[illegible].

პოლიტიკურმა მანიაკებმა აშკარად ჩამოაყალიბეს ნერონ—მაკიაველური საშიში მიმდინარეობა, რამაც მძაფრი ფაშისტური შინაარსი მიიღო. მისი ყველაზე ბინძური და ღლეძღე არგაგონილი მეთოდებით. ვისმა პოლიტიკურმა ამბიციებმა შეიწირა ათასობით ადამიანის სიცოცხლე და ინტერესი, ვისგან დაიკარგა ისედაც დაპატარავებული საქართველოს მიწები, ვინ დატოვა ხალხი უსახლკაროდ, მშიერი და შიშველი, ვინ გაიმეტა ხალხი კავკასიონის ქარბუქიანი ბილიკებისათვის, ვინ მიუგდო იგი გასაწყვეტად და გასაბახებლად შინაურ და გადამთიელ კაციჭამიებს. ეს დაცემაცაა და ერის დიდი ლაქაც, ფსიქოლოგიური ტრანსიც და აზროვნების პარალიზებაც, ასეთი ყოფა აღარ შეიძლება გაუბედურებულო ქართველო! საჭიროა გამოვიდეთ ლეთარგიიდან, ნუ გავხდებით სატანის მანქანის უბრალო ხარახურა, მისი მსხვერპლი და ზვარაკი, თორემ შეგვაჩვენებს მომავალი და შთამომავლობა, ჩვენი სუნთქვა მოშხამავს სამზეოს, ხოლო სულის მიღება გაუჭირდება ზეცას, სხეულისა კი მშობლიურ მიწას, ადამიანებო, გავერთიანდეთ.

**ნ. მესხაძე,**
**ლაილაშის საშუალო სკოლის დირექტორი.**

## ღია ჭრილობა

**ამ წერილის ავტორი წარმოშობით ლეჩხუმელია. სოხუმის დაცემის წინ მიწას მიაბარა მოძალადურთა ტყვიით განმირული პირმშო ვაჟკაცი. იგი სამხედრო ჟურნალისტია და ომზე ხშირად უწევდა წერა, მაგრამ დამეთანხმებით, სულ სხვაა, როცა წერ საკუთარი შვილის სიკვდილზე, საკუთარი ოჯახის, მშობლიური ქალაქის აწიოკებაზე. ამის აღწერა თითქმის შეუძლებელია, მან მაინც სცადა ჩვენამდე მოეტანა დიდი ტკივილი.**

# დაუტირალი შვილი

იმ ავადმოსაგონარ კვირადღეს, სოხუმში, იქაურ ქუჩებში, გუმისთის სასტიკი უთანასწორო ბრძოლის ველიდან ლომგულმა ბიჭებმა გამოიტაცეს და პატრონებს დაუბრუნეს გმირის სიკვდილით დაცემული 5 ვაჟკაცი, ერთერთი მათგანი დედისერთა იყო, ყოვლად სიკეთით ცხებული ჩვენი პაატა, მართლა პაატა, ისიც და სხვებიც ბენდელიანები იყვნენ გარდა „ტახუნასი".

ჰო, იმ ლომგულმა ბიჭებმა „ტახუნას" ცხედარი ოჯახს რომ ჩააბარეს, მშობლებს „მიულოცეს" ცხედარი მთელიაო, ყურის ზემოთ პაწა ნატყვიარი ატყვიაო".

რატომ? გუმისთის ხიდის დამცველის, ფაფახიანი და ნაბდიანი გაბედული მეთაურის, მაიორ რომან (ტახუნა) ლეთოდიანის თავი იმ პირსისხლიან არძინბას თურმე მილიონად ჰქონია შეფასებული. ამიტომ ულოცავდნენ თურმე მშობლებს (!!!) პირველი მოსწრება, პირველი სიხარული, სახელგანთქმული ვაჟკაცი. გათანგული, ყელგამოგლეჯილი იმ პაწაწკინტელა სახეთქი ტყვიით, უბედურ მშობლებს მოუსვენეს და ულოცავდნენ...

ძველი ამბავი გამახსენდა ცხენის თავის ქალაზე თქმული: სარზე ჩამოცმულ იმ თავის ქალას წარწერა ჰქონია თურმე: „უარესს ველიო". ამაზე მეტი რაღა დაგემართებაო, უთქვამს გამვლელ მგზავრს იქვე, მაგრამ უარესიც შეიძლება თურმე. მე თვითონ ვნახე ჩემს შვილზე ჭკუათესები სადღაც კლდეებსა და ღრეებში შიმშილით იხოცებდნენ და მიწას ვინ გაუთხრიდა ნეტა...

ჰოდა, ასეთი ვაჟკაცები, დედისერთებიც, მეორე დღესვე, ორშაბათს ტყვიამფრქვევების წივწივში და ჭურვების ბათქაბუთქში სახელდახელოდ დავასაფლავეთ, სახელდახელოდ გათხრილ მიწაში.

მათი მშობლები კი მთელ სოფელთან ერთად მდინარე კელასურის ფეხით გადავლის შემდეგ მერხეულის საშუალო სკოლის საკლასო ოთახებში იატაკებზე დავეყარენით. მერე კი კლდეების გავლით ვითომ სამშვიდობოზე წებელდაში გადაგვიყვანეს, იქაც საშუალო სკოლაში. ვხედავდით რა კუდამოძუებულნი, უკანმოუხედავად, მიგრიალებდნენ ჩვენი ერთდროს „ვეფხვები"—ტანკები, ზედ რომ ტომრებივით ეყარნენ ჩვენი გვარდიელები. მოდი და ნუ გაიხსენებ ამ მომენტში: შიში მაჩვენე და გაქცევას გაჩვენებო.

გაგონებით კი რა არ გვეს მოდა—ასე აკვნის ბავშვებივით, ცხვრებივით მაინც როგორ მოგვატყუეს და გამოგვრეკეს? ჩვენ ლტოლვილები კი არა, ცხოველები ვართ ჩვენ—ჩვენი მიწიდან, ჩვენ—ჩვენი სადგომებიდან ძალით გამორეკილნი, ასე უკან მოუხედავად ჩვენი ერთდროს ცნობილი მძიმე ტექნიკით სვანეთის უღელტეხილზე გადარეკილნი. ნეტა იქაურ სვანეთში მაინც შეგვესვენა? მაგრამ შეგვეშინდა, რატომ ქვია იმ სვანეთს აფხაზეთის სვანეთი?

ჭუბერი კი მხრებგაშლილი, ულევი და ურთვალავი პურმარილით, რაც მთავარია, იმედით ხვდება სიცოცხლის სვეტწამხდარ ლტოლვილებს.

იქ, ჭუბერში ვნახე ჩემი სათაყვანებელი ადამიანი, ცხუმ—აფხაზეთის ეპისკოპოსი მეუფე დანიელი—ჩვენი იქაური ღმერთკაცი. აქაც, ამ ძნელბედობის დროს რომ ღმერთად მოგვევლინა: ის შავანაფორიანი ბიჭებიც ცხელ—ცხელ საჭმელებს რომ ურიგებდნენ გზებზე დამშეულ ლტოლვილებს, თურმე მისი ბიჭები ყოფილან. ამისათვის ყველა ხარჯი მას გაუღია.

ასე დაუტირლად მივაბარეთ შვილები იმ საჩხუბარ, სადაო, სისხლიან მიწას.

* * *

ის ფაფახიანი და ნაბდიანი გმირი მეთაური, აფხაზებისგან ასე დიდად შეფასებული, ხშირად იმეორებდა ლეჩხუმელი პოეტის სევერიან ისიანის სტრიქონებს:

„თუ მტერმა დამცეს
ხმალგაბასრულმა
დარდს ნუ მოიდებთ,
ღრუბლის გუნდებად,
რა ვუყოთ ომში ბევრი
წასულა
მაგრამ ყველა ხომ ვერ
დაბრუნდება"

**პიმენ ლეთოდიანი.**

# კავკასიური ცარცის წრეში

### წერილი I

საქართველო დღეს უკვე ნამდვილად ჰგავს იმ ბიჭუნას, გენიალურმა ბერტოლდ ბრეხტმა რომ ჩააყენა თავის „კავკასიური ცარცის წრეში“. გახსოვთ ალბათ დედობის მაძიებელი ორი ქალი, ბავშვს ხელებში რომ ჩასჭიდებიან და თავის მხარეს გადაქაჩვას ცდილობენ. ამ გზით ბრძანა სამართლის გადაწყვეტა მოსამართლე აზდაკმა. მაგრამ პატარა მიხეილი გაცილებით უკეთეს დღეშია, ვიდრე ჩვენი უბედური ქვეყანა—იმ ორი ქალიდან ერთი ნამდვილ დედად ერგება მას. იგი შვილს გასაგლეჯად ვერ იმეტებს და განწირულების პირისპირ მდგარი ხელს უშვებს ბავშვს. ერის მამობის მაძიებლენი კი დღეს „ჩემია, ჩემის“ ძახილით ისე გააფთრებით, ლამის კბილებითაც ჩასჭიდებიან საშველად მომხმობ ქართვლის დედის მკლავებს, მის ტკივილებს ანგარიშსაც არ უწევენ. ხოლო ცხოვრება, ეს მკაცრი და ჭკვიანი მოსამართლე აზდაკი, გაოგნებული შეჰყურებს ორივე მხარეს: ნუთუ არცერთს არ ეყოფა სულგრძელობა?!..

ესაა იმ საშინელი მარცხის უმთავრესი მიზეზი, რაც საქართველომ განიცადა თავისუფლებისათვის ბრძოლაში. რაგინდ მწარეც არ უნდა იყოს, უნდა ვაღიაროთ სიმართლე—საქართველო დამარცხდა არა კონკრეტულ ბრძოლაში, მაგალითად, სამაჩაბლოსა ან აფხაზეთისათვის, არამედ წააგო დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის უმნიშვნელოვანესი ეტაპი და ამ მარცხის დასტურია განცხადება, რომელიც სახელმწიფოს მეთაურმა გააკეთა სნგ—ში შესვლასთან დაკავშირებით. უნდა ვაღიაროთ ისიც, რომ ჩვენ არაფერი არ გავაკეთეთ ამ მარცხის თავიდან ასაცილებლად, პირიქით, თითქოს ჯიუტად მივისწრაფოდით კიდეც აქითკენ. რესპუბლიკის ხელისუფლების თითქმის ყოველი ნაბიჯი იყო საკუთარი სამარის გასათხრელად დაკრული ბარი. ლაპარაკია დღევანდელ ხელისუფლებაზე, თორემ წინა ხელისუფლების შეცდომა—დანაშაულობებზე საკმარისად ითქვა. მორჩა, აღარაა საჭირო, ძველის კრიტიკით საკუთარი შეცდომების დაფარვას ტყუილად ნუ ეცდება ვინმე. ეს თავის მოტყუება იქნება მხოლოდ. ყოველ შემთხვევაში ხალხი ცოტა ხანს შეიძლება შეიქციო ამით, დიდ პოლიტიკაში კი საგზლად არ გამოდგება.

მაშ, ასე, ვერავის ვერაფერს გადავაბრალებთ, დამნაშავენი თვითონვე ვართ და თუ ეს არ ვაღიარეთ, ვერ გადავრჩებით. ხსნის გზა ერთია და ის ღვთის შეწევნით საკუთარ თავში უნდა ვეძიოთ, გამოვასწოროთ საკუთარი შეცდომები და მათზე მაინც ვისწავლოთ, თორემ ჭკვიანი ხალხი სხვის შეცდომებზეც სწავლობს. ხოლო თუ წინანდებურად ბეწვსაც ადვილად შევამჩნევთ სხვის თვალში, საკუთარში კი დირესაც ვერა, საქართველო დაიღუპება. სულ ტყუილად ირჯება ის, ვინც ფიქრობს ქვეყანა ჭირსაც წაუღია, ოღონდ მე ვიყო კარგადო. არა ბატონებო! თავს ნუ მოიტყუებთ—დაღუპული ქვეყნის შვილები ვერ გაიხარებენ, როგორც არ უნდა შეეცადონ ამას.

შეცდომათა (თუ რბილად ვიტყვით) იმ კასკადს, რომელიც ახლანდელ ხელისუფლებას მოჰყვა საქართველოში, შეეძლო საბედისწეროდ ემოქმედა თვით განვითარებული ქვეყნის ბედზეც კი. დღემდე სახელმწიფო პოლიტიკა, თუ ამას პოლიტიკა შეიძლება ეწოდოს, მთლიანად ემყარებოდა და ემყარება „მსოფლიოს დიდი პოლიტიკოსის ფაქტორს“. კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნისთვის მხოლოდ შევარდნაძის მსოფლიო სახელისა და ავტორიტეტის ამარა ყოფნა ვერაფერი შვილი იმედი იყო. ეს ფაქტორი ჩვენ უნდა გამოგვეყენებინა, ერთის მხრივ, ბალანსირებული საგარეო პოლიტიკის გატარებისა და საქართველოსთვის მაქსიმალურად შესაძლებელი ხელსაყრელი პოზიციის მოპოვებისათვის, მეორეს მხრივ კი, როგორც ერთ—ერთი მექანიზმი ფართომასშტაბიანი საზღვარგარეთული დახმარების მისაღებად. ჩვენ კი ავდექით და საქართველოს ყველა ტკივილის წამლად „შევარდნაძის ფაქტორის“ დადება დავიწყეთ. და ზოგჯერ ამას ისე ვაკეთებდით, დამწვარს რომ მდულარეს დაასხამ. „ზვიადისტების“ ამბოხებაა?—დარდი ნუ გაქვთ შევარდნაძის ფაქტორს ვერ გადასძლევენ, ეკონომიკა სრულ კრახს განიცდის?—მერე რა, შევარდნაძის მეხოტბეები მთელი მსოფლიოდან გამოგვიგზავნიან პურსა და კარაქს. ქვეყანა კრიმინალური ბანდების სათარეშო ასპარეზად იქცა?—არაფერია, შევარდნაძის ავტორიტეტით მოვაწესრიგებთ. ომს ვაგებთ აფხაზეთში?—ნურას უკაცრავად, აქ არა გვყავს მსოფლიო დონის პოლიტიკოსი? ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ დიდ პოლიტიკას სინამდვილეში სერიოზულად არავინ არ აღიქვამდა. ნაცვლად იმისა, საქმე გვეკეთებინა, ხელგაწვდილი ვმათხოვრობდით და ვმათხოვრობთ. ვამუნათებთ დასავლეთს, რომ მისგან მივიღოთ მეტი და მეტი პური, მაშინ, როცა უნდა ვითხოვდეთ დახმარებას შიდა პოლიტიკის რეგულირებაში, ეკონომიკური რეფორმების გატარებაში, დახმარებას ცივილიზებული საზოგადოების შექმნისათვის. დღემდე რესპუბლიკის მთავრობას არ უზრუნია ამისათვის, ამიტომ ჩვენ ვერ მივიღეთ და ვერც მივიღებთ რეალურ დახმარებას მანამ, სანამ დასავლეთი არ დარწმუნდება, რომ ნამდვილად გადავდივართ საბაზრო ეკონომიკაზე და ვასრულებთ იმ ინსტრუქციებს, რასაც საერთაშორისო სავალუტო ფონდი გვთავაზობს.

უპირველესი და უმთავრესი შეცდომა ჩვენი ხელისუფლებისა სწორედ ესაა—მან არაფერი არ გააკეთა კრახის პირას მისული ეკონომიკის ასამოქმედებლად და სრული კოლაფსის მდგომარეობაში ჩააგდო იგი. საქართველოს სრული ეროვნული პროდუქტის ოდენობის ციფრული მალე გაუტოლდება ნულს—ჩვენთან ხომ თითქმის არაფერი არ იქმნება. ეკონომიკის რეფორმა ნეოკომუნისტურმა მთავრობამ არ ისურვა, ხოლო მისი მართვა ძველი ხერხებით შეუძლებელი აღმოჩნდა, ამიტომ რეფორმა შეეხო მხოლოდ ფულს, უფრო სწორად მოხდა ეროვნული ფულის სუროგატის შემოღება დამცავი მექანიზმების შექმნისა და ამოქმედების გარეშე (უპირველესი დამცავი მექანიზმი ეკონომიკის ამუშავება გახლავთ), რასაც დაემატა ეროვნული ბანკის ანტისახელმწიფოებრივი, და დანაშაულებრივი საქმიანობა და შედეგიც სახეზეა—გაძარცვული ხაზინა და გაღატაკებული ხალხი. ამის ფონზე სამოქალაქო და სამამულო ომი, დამნაშავეთა სამყაროს შე[illegible]ევა და უამრავი ჭირი... დამეთანხმებით, მართლაც ძნელია გაგება, როგორ ვუძლებთ ყველაფერ ამას.

ეს შეცდომა მთლიანად სახელმწიფოს მეთაურს უნდა დააკისროს, მის მიერ შექმნილი სამთავრობო სტრუქტურები, აშკარად ანტირეფორმისტულად განწყობილი კაბინეტი რეფორმას ვერ განახორციელებდა. სხვათა შორის, შევარდნაძე ერთხელ კიდევ შეცდა, როცა პრაქტიკულად ერთადერთი რეფორმისტი მოაშორა მთავრობას—ხელფეხშეკრული (მთავრობისაგან) გოცირიძე მაინც ვერაფერს გახდებოდა, წინანდებურად ყველაფრის მასზე დაბრალება კი შეიძლებოდა. ახლა კი საკმაოდ მძიმე პრობლემის წინაშე დადგება ჩვენი მთავრობა. რეფორმის გატარება მას არ შეუძლია და არც აპირებს, დაბრალებით კი ველარავის გადააბრალებს რამეს.

მეორე მძიმე შეცდომა საგარეო პოლიტიკის სფეროს განეკუთვნება. ამას რომ ვამბობ, ვიცი, უკიდურესად წამგებიან პოზიციაში ვიყენებ თავს—გამძვინვარებულ „შევარდნაძისტებთან“ ერთად უფრო ლიბერალურად განწყობილთა რისხვასაც დავიტეხ—საგარეო პოლიტიკაში მაინც არისო შეუვალი შევარდნაძე. დაე, იყოს თქვენებურად, ბატონებო! ვფიქრობ, დრო ყველაფერს ნათელს მოფენს, იქნებ ბრმათაც აეხილოს თვალი. მით უფრო, ამ პრობლემას მაინცდამაინც დიდი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს მასისთვის.

მესამე, უმძიმესი შეცდომა ჩვენი ხელისუფლებისა სამოქალაქო ომის ესკალაციაა. ნურავინ იფიქრებს, რომ ომი მხოლოდ ამ დღეებში დაიწყო. იგი არ შეწყვეტილა 1991—92 წლის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ. ხელისუფლებას არ გადაუდგამს არცერთი, მეტნაკლებად მნიშვნელოვანი ნაბიჯი ერის ერთიანობის აღსადგენად (ჩემს ოპონენტებს ვთხოვ ნუ შემეკამათებიან—ის მანიფესტი და მოწოდებები ეროვნული შერიგებისკენ, სამწუხაროდ, არაა სათვალავში ჩასაგდები, რადგან ყველაფერი ეს აშკარად გამოკვეთილ კამპანიურ ხასიათს ატარებდა და მოწინააღმდეგის ლანძღვის ფონზე მიმდინარეობდა. დარჩა კიდეც ლოზუნგის დონეზე). მიუხედავად შევარდნაძის მოსვლისა ხელისუფლებაში, სამოქალაქო ომის ადრინდელ ეტაპზე არსებობდა დაპირისპირების მოხსნის საკმაოდ რეალური შანსი. გავიხსენოთ თუნდაც 1992 წლის შემოდგომა, როცა გაქცეული პრეზიდენტის მომხრეებმა მოლაპარაკებების მსვლელობისას გამოთქვეს არჩევნებში მონაწილეობის სურვილი. ამ სურვილს ხელისუფლებამ დაუპირისპირა ფორმულა: „ყველა მინუს ერთი“ (ე. ი. არჩევნები გამსახურდიას გარეშე). ამ ფორმულას, ცხადია მოწინააღმდეგე მხარე არ მიიღებდა და დავკარგეთ სტაბილიზაციის შეიძლება მცირე, მაგრამ მაინც შესაძლებლობა. ხელისუფლებას შეეშინდა არჩევნებში გაეშვა გამსახურდია მაშინ, როცა მისი (ხელისუფლების) ადეპტები დაჟინებით გაიძახოდნენ და დღესაც იმეორებენ: გამსახურდია პოლიტიკური გვამიაო (გია ჭანტურია), რაღაც ახირებული ლოგიკა გამოდის. გვამს ყოველდღე გამწარებული ლანძღავენ და ათრევენ, არჩევნებში მისი მონაწილეობისა ეშინიათ... ამგვარ არარეალისტურ პოლიტიკას არ შეიძლებოდა უკეთესი შედეგი მოჰყოლოდა.

ლომის წილი ამ დაპირისპირების გამძაფრებაში მიუძღვის სწორედ სახელმწიფო პოლიტიკას და ამ პოლიტიკის რუპორს—მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, რომელთა მოქმედება ემყარება პრინციპს: რაც დაუშვებელია ხარისთვის, ის ეპატიება იუპიტერს. მაგალითების მოტანა არ გამიჭირდება.

1. ის ფაქტი, რომ 1991 წლის 28 ოქტომბერს გამსახურდიას ხმა მისცა ამომრჩეველთა 87—მა პროცენტმა, მოგვიანებით სამთავრობო პრესამ, ტელევიზიამ და ახალი დროის პროპაგანდისტებმა შეაფასეს, როგორც ერის ავადმყოფობის სიმპტომი, ხოლო, ჩემი აზრით, იგივე შინაარსის ფაქტი—შევარდნაძის მიერ 1992 წლის ოქტომბრის არჩევნებში ამომრჩეველთა ხმების 95 პროცენტის მიღება, იგივე გაზეთებმა, ტელევიზიამ და იგივე პიროვნებებმა შეაფასეს, როგორც მისასალმებელი მოვლენა. არადა ფაქტიურად ეს ერთი და იგივეა—ორივე შემთხვევაში ქართველმა ხალხმა გამოხატა ერთნაირი პოზიცია—თითქმის სრულიად ენდობოდა და ენდობა ერთ კაცს—პირველ შემთხვევაში გამსახურდიას, მეორე შემთხვევაში—შევარდნაძეს. მხოლოდ აკაკი ბაქრაძემ შეაფასა 1992 წლის არჩევნების [illegible] როვნად—ეროვნული მოძრაობის დამარცხება [illegible]. სხვათაშორის, საკმაოდ მტკივნეული რეაქცია მოჰყვა უმაღლეს ეშელონებში.

2. აქედან გამომდინარე ფორმულა „მხოლოდ ის გვიხსნის“ მიუღებელია გამსახურდიას შემთხვევაში, ხოლო საამაყო—შევარდნაძის შემთხვევაში. გამსახურდია მესიად მიაჩნდათ, მის სახელს გაჰყვიროდნენ მთავრობის სახლის წინ, სიმღერებს თხზავდნენ?—ეს ძალიან ცუდია, კერპთაყვანისმცემლობაა. შევარდნაძე ღმერთად მიაჩნიათ (ერთადერთი კაცი ვინც იხსნის საქართველოს), მასთან შეკამათებასაც კი არ უშვებენ, მის გვარს გაჰყვირიან პარლამენტის შენობის წინ, უჩოქებენ—ეს თურმე ძალიან კარგია, ერის მაღალი პოლიტიკური სიმწიფის მაჩვენებელია. სამწუხაროდ, ეს ისეთივე კერპთაყვანისმცემლობაა, როგორიც „ზვიადიზმი“. ოღონდ კერპია სხვა, გეთანხმებით, რომ უფრო ჭკვიანი.

3. ის, რაც ხდებოდა 1991 წლის აგვისტოს ბოლოდან (მიტინგის დარბევა, ტელევიზიის მხოლოდ ხელისუფლების რუპორად ქცევა, სხვაგვარად მოაზროვნეთა და ოპოზიციონერ დეპუტატთა დევნა თავგადაკლულ „ზვიადისტთა“ და ე. წ. „კარვის ქალების“ მხრიდან), ტოტალიტარიზმი და ფაშიზმია, ხოლო, ის რაც უკვე კარგა ხანია დაიწყო და სულ უფრო ძლიერდება დღეს—ოპოზიციური აზრის ბლოკირება და ამ მიზნით ინტელიგენციის ზოგიერთი ცნობილი წარმომადგენლის გამოყენება, „პატივსაცემი“ პიროვნებების დაუფარავი მოწოდებები ამ აზრის ძალით ჩახშობისკენ და თვით სახელმწიფოს მეთაურის მიერ ხალხის წაქეზება ოპოზიციონერ დეპუტატებზე (რად ღირს თუნდაც 14 სექტემბრის მოვლენები—შევარდნაძის განცხადება გადადგომის შესახებ და მისი რბილად რომ ვთქვათ, მოუზომავი ფრაზა, დეპუტატ ბოგოხიძის მიმართ თქმული—შენ თბილისელები გაგცემენო პასუხს. ეს აშკარა წინიშნება იყო და გაავებული „შევარდნაძისტები“ ლამის მოსაკლავად ეძებდნენ დეპუტატს. არადა, აკაკი ბოგოხიძე საერთოდ არაფერ შუაში იყო)—ეს თურმე დემოკრატიაა. თუ გამსახურდიას „კარვის ქალები“ ჰყავდა მხნელად, ჩვენს დღევანდელ მეთაურს კარის პოეტები ჰყავს საამისოდ. არსებითად, შევარდნაძეს აქებენ იმისათვის, რისთვისაც კიცხავდნენ მის წინამორბედს.

სამწუხაროდ, უამრავი ასეთი მაგალითის მოყვანა შეიძლება, რაც ადასტურებს ამ ორი დაპირისპირებული მხარის თითქმის თანაბარ ბრალეულობას შინაომის გაჩაღებაში. ორივე მხარის ქცევის მამოძრავებელი იმპულსები, სამწუხაროდ ერთნაირია და გამომდინარეობს საკუთარი უცოდველობისა და მხოლოდ მოწინააღმდეგის ბრალის აღიარებაში.

**ია ხმელიძე.**

# ომისა და შრომის ვეტერანთა განცხადება

ამ დღეებში განათლების განყოფილების სხდომათა დარბაზში გაიმართა ომისა და შრომის ვეტერანთა შეკრება, რომელიც მიეძღვნა ამჟამად რესპუბლიკაში არსებულ მდგომარეობას. შეკრება შესავალი სიტყვით გახსნა განათლების განყოფილების მეთოდკაბინეტის გამგემ, ომისა და შრომის ვეტერანთა რაიონული საბჭოს თავმჯდომარემ ლევან ჩიქოვანმა. აზრი გამოთქვეს გიორგი ბენიძემ, ილარიონ სალინაძემ, რუბენ ბაქრაძემ, ლევან ჩარკვიანმა, შიო ახვლედიანმა, სარდიონ ფუტკარაძემ, იოსებ რატიანმა, გრიშა ახვლედიანმა, გრიშა სილაგაძემ და სხვებმა. შეკრების მონაწილეებმა მიიღეს შემდეგი განცხადება.

ომისა და შრომის ვეტერანთა შეკრება მთლიანად და სავსებით უჭერს მხარს სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის გადაწყვეტილებას დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში საქართველოს გაერთიანების შესახებ და მიაჩნია, რომ იგი მშვიდობიანობას აღუდგენს საქართველოს, ფეხზე დააყენებს ქვეყანას, ნორმალური ცხოვრების პირობებს შეუქმნის ადამიანებს.

ვეტერანები შეშფოთებული არიან მთავრობის ჯარების უმოქმედობის გამო. ამის შედეგად გააქტიურდნენ ექსპრეზიდენტის მომხრე პოლიტიკური ძალები და ბანდიტური შეიარაღებული ჯგუფები. მათ დაიკავეს სამტრედია, ხონი, ესწრაფვიან ქუთაისისა და თბილისის ხელში ჩაგდებას. ვეტერანებმა მოსთხოვეს მთავრობას გააქტიუროს საბრძოლო ოპერაციები, მთელი თავისი ძალებით გადავიდეს შეტევაზე და ალაგმოს ექსპრეზიდენტის მომხრეთა შეიარაღებული ბანდები.

მთელმა მოსახლეობამ გულთან უნდა მიიტანოს სასოწარკვეთილ მდგომარეობაში ჩავარდნილი ათასობით ლტოლვილის ბედი. ყოველმხრივ უნდა დავეხმაროთ მათ ბინით, სურსათით, ტანსაცმლით, სხვა საჭირო საშუალებებით. მთავრობამ ყველა ზომა უნდა მიიღოს მშობლიური ადგილებიდან განდევნილ პირთა უკან დასაბრუნებლად.

შეუწყდეთ უფლებამოსილება და პარლამენტიდან გამოყვანილ იქნან ის დეპუტატები, რომლებიც ჯიუტად ეწინააღმდეგებიან მთავრობის პოლიტიკას და ბლოკირებას უკეთებენ მის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებს. გამკაცრდეს მოთხოვნები და გადაჭრით გაძლიერდეს ბრძოლა კანონიერებისა და წესრიგის აღსადგენად, დამნაშავე ელემენტების გამოსავლინებლად და მკაცრად დასასჯელად.

ომისა და შრომის ვეტერანთა შეკრება ამ მძიმე განსაცდელის ჟამს მოუწოდებს რაიონის ყველა მშრომელს, გამოვიჩინოთ მეტი სიმტკიცე და ორგანიზებულობა, ყოველმხრივ დავუჭიროთ მხარი ადგილობრივ ხელისუფლებას, არ დავზოგოთ ძალები სამშობლოს გადასარჩენად.

## გილოცავთ

**მარინე თუთისანს, სოსო ქომეთიანს**
გილოცავთ ბედნიერებას. იხარეთ და იბედნიერეთ.
**წიფერჩის საბავშვო ბაგა—ბაღის კოლექტივი.**

**მელანო ყურაშვილს, დათო ცვარიანს**
გილოცავთ შეუღლებას. დაე, მუდამ ბედნიერი ყოფილიყოთ.
**ლალი ხვადაგიანი.**

**მარინე ლადოს ასულ თუთისანს**
**სოსო ასკალოს ძე ქომეთიანს**
გილოცავთ ბედნიერებას. იმრავლეთ და იბედნიერეთ.
**საფინანსო განყოფილებისა და საგადასახადო ინსპექციის თანამშრომლები.**

**ნანა, როლანდ ავალიანებს**
გილოცავთ ვაჟის შეძენას. დაგლოცოთ ღმერთმა.
**რაისაავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების თანამშრომლები.**

**ლია, კუჭიკო მახაროგლიძეებს**
გილოცავთ შვილიშვილის შეძენას. ღმერთმა გაგამრავლოთ და გაგახაროთ.
**შემნახველი ბანკის თანამშრომლები.**

**დარეჯან, თამაზ ფუტკარაძეებს**
გილოცავთ კობას უმაღლეს სასწავლებელში მოწყობას.
**წიფერჩის საბავშვო ბაგა—ბაღის თანამშრომლები.**

**ჯულიეტა, მურმან ბრეგვაძეებს**
გილოცავთ ქალიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს სასახელო ქალი.
**ლასურიაშის საკრებულოს, კულტურის სახლის, ბიბლიოთეკისა და კავშირგაბმულობის განყოფილების თანამშრომლები.**

**სულიკო კოპალიანს, ნანა როლანდ ავალიანებს**
გილოცავთ პატარა უშანგის დაბადებას. იხაროს, იმრავლოს.
**ნუნუ, იური სილაგაძეები.**

## ხსოვნა

### თამრიკო ხეცურიანი

15 წლისაც არ იყავ, როცა ბედმა შენი ლამაზი სიცოცხლე მოგვტაცა. დედის სანატრელი სახეც კი არ დაგინახავს სიკვდილის წინ, ერთი ამოიკვნესე და სამუდამოდ წახვედი ჩვენგან.

ოქტომბერს, შენი დაბადების დღეა თამრიკო. ამ დღეს 17 წელი შეგისრულდებოდა.

ორი წელი გავიდა იმ საშინელი ტრაგედიიდან, 19 კურსდამთავრებული იქნებოდი, როგორ გაახარებდი შენს გამწარებულ მშობლებს, დებს, როგორი ბედნიერები ვიქნებოდით ჩვენც, შენი თანაკლასელები.

სიცოცხლე გიყვარდა, სიკვდილის მუდამ გეშინოდა. საკვირველია ასე უშიშრად როგორ შეხვდი მოულოდნელად მოსულ დაუნდობელ სიკვდილს.

დაბადების დღეზე დედიკოს ელოდი ალბათ. ისიც მოვა, მდუღარე ცრემლებს დაგაფრქვევს, თავის ბედდასწყევლის და გულდამძიმებული ისევ შინ დაბრუნდება. ჩვენც მოვალთ, შენი თანაკლასელები, მოგიგონებთ ლამაზ და ძვირფას მეგობარს და ჩვენც გულდამწვარნი დავბრუნდებით უკან.

დაბადების დღეს გილოცავთ, თამუნა! ნათელი ყოფილიყოს შენს მიერ არჩეული ახალი გზა.

სოფიკო ასათიანი.

მეუღლე გუგული ლომთაძე, შვილები ლეილა, ბადრი, რძალი მაცაცო გეწაძე, სიძე ზურაბ მუშკუდიანი, შვილიშვილები მაკა, ეკა, ზაზა, ზაალი, ინეზა იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
**რამინ დავითის ძე გულბანი**
დაკრძალვა 26 ოქტომბერს, სამშაბათს ქ. ცაგერში.

ქვედა ცაგერის ბაგა—ბაღის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ინგა, გურამ შკუბულიანებს დედისა და სიდედრის
**ლიდა ნესტორის ასული კუხალაშვილის**
გარდაცვალების გამო.

№23 საგზაო სამმართველოს კოლექტივი თანაუგრძნობს შამილ შკუბულიანს ბიძის
**მუხრან თუთისანის**
გარდაცვალების გამო.

თენგიზ მდივანი, სოსო ჩარკვიანი, თამაზ ლიპარტელიანი, გრიშა ხაბულიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ოჯახს
**ნატა კოპალიანის**
გარდაცვალების გამო.

თენგიზ მდივანი, სოსო ჩარკვიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ჭირისუფალს
**გოგის**
და
**კახას**
ტრაგიკულად დაღუპვის გამო.

ქვედა ცაგერის არასრული საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი თანაუგრძნობს მაყვალა კოპალიანს გიძაშვილის
**გოჩას**
გარდაცვალების გამო.

ცაგერის საშუალო სკოლის 1—ბ კლასის მოსწავლეები და მშობლები თანაუგრძნობენ ეთერ კოპალიანს ძმის
**ვალიკოს**
გარდაცვალების გამო.

ბარდნალის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობენ ელზა კოპალიანს ბიძის
**ვალიკო ხეცურიანის**
გარდაცვალების გამო.

ლასურიაშის საკრებულოს, კულტურის სახლის, ბიბლიოთეკის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ციცინო, იური ხეცურიანებს ბებიის
**ელპიტის**
გარდაცვალების გამო.

ბარდნალის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობენ მთვარისა ახვლედიანს ბიძის
**ტარიელ ონიანის**
გარდაცვალების გამო.

გრიგოლ სალინაძე ოჯახით თანაუგრძნობს ჯემალ კოპალიანის ოჯახს
**გოჩა კოპალიანის**
გარდაცვალების გამო.

ცაგერის საშუალო სკოლის V ბ კლასის მოსწავლეები, მშობლები და კლასის ხელმძღვანელი [illegible] თანაუგრძნობენ ეთერ კოპალიანს ძმის
**ვალიკო ხეცურიანის**
გარდაცვალების გამო.

ზაქრო სალინაძე, სკენდერ ონიანი თანაუგრძნობენ ვაჟა მიქაძის ოჯახს დის
**მაგულის**
გარდაცვალების გამო.

დავით ზურაბიანი, ბიჭიკო, შურა, სოსო, თემური შკუბულიანები თანაუგრძნობენ ვაჟა მიქაძის ოჯახს
**მაგული მიქაძის**
გარდაცვალების გამო.

რამაზ კვირკაშვილი ოჯახით თანაუგრძნობს ეთერ კოპალიანს ძმის
**ვალიკო ხეცურიანის**
გარდაცვალების გამო.

ცაგერის საშუალო სკოლის კოლექტივი თანაუგრძნობს ეთერ კოპალიანს ძმის
**ვალიკო ხეცურიანის**
გარდაცვალების გამო.

გურამ გახუტაშვილი, მანანა გიორგელიძე თანაუგრძნობენ ეთერ კოპალიანს ძმის
**ვალიკო ხეცურიანის**
გარდაცვალების გამო.

ლეილა სადილიანი, შურა მიქაბერიძე გულნაზი ნემსაძე, ნათელა კოპალიანი, მარინა ბაკურაძე თანაუგრძნობენ ხათუნა კოპალიანს
**ლარისას**
გარდაცვალების გამო.

ალვის არასრული საშუალო სკოლის მე—5—მე—6 კლასების მოსწავლეები იუწყებიან
**ლარისა ხეცურიანის**
გარდაცვალებას.

ალვის არასრული საშუალო სკოლის მე—7—მე—8 კლასების მოსწავლეები იუწყებიან
**ლარისა ხეცურიანის**
გარდაცვალებას.

ალვის არასრული საშუალო სკოლის მე—3 კლასის მოსწავლეები და კლასის ხელმძღვანელი მაია თაგვაძე თანაუგრძნობენ ირინე ხეცურიანს დის
**ლარისას**
გარდაცვალების გამო.

ნოდარ, ბელა სალინაძეები, გრიშა შკუბულიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ხათუნა შოთა კოპალიანებს
**ლარისა როლანდის ასული ხეცურიანის**
გარდაცვალების გამო.

დამფუძნებელი—რედაქციის კოლექტივი

რედაქტორის მოადგილე მ. ძნელაძე.

გაზეთი მუშაობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. ავტორთა აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად აგებენ პასუხს მასალაში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე.

რედაქციის მისამართია: 384100 ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №56, ტელეფონი 22-81.

შეკვეთა № 86 ტირაჟი 1856

ცაგერის რაიონული სტამბა